

ქ.თბილისი

2019 წლის 9 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 9 აპრილს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ჩიხლაძის ოქმი, მთავარი მსაჯის ი. მჟავანაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 31 მარტს, დუბლების ლიგის მატჩზე, ქუთაისის „აია“-სა და პატარძელის „ვეფხვები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. ქუთაისის „აია“-ს მორაგბე გურამ შარვაშიძე, უხეში თამაშისათვის (უხეში ბოჭვა), გამეკვებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით მსაჯის მიერ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 291 პუნქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმად წითელი ბარათის მიმღები მოთამაშე ავტომატურად ტოვებს 1 (ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ ქუთაისის „აია“-ს მორაგბეს გ. შარვაშიძეს არ დააკისრა სრკ-ს სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული სხვა რაიმე დამატებითი სასჯელი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/